დ ე ნ დ რ ო ლ ო გ ი უ რ ი გ ე გ მ ა

ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. მე-4 მ/რ
ს/კ 01.14.01.001.145

ა რ ს ე ბ უ ლ ი ს ი ტ უ ა ც ი უ რ ი გ ე გ მ ა





4620300
4620250
4620200
ბილიკი
საბუნური
მიხეილ გელოვანის ქუჩა
ბორ
ბორ
ბორ


5.1 m²
ʒ-3=1357,4 ∂²
1,352.3 m²

დ ე ნ დ რ ო ლ ო გ ი უ რ ი გ ე გ მ ა



ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა, IV მიკრორაიონი ს/კ 01.14.01.001.145

დამკვეთი: შ.პ.ს "შენიქსი" ს/კ 404852931

საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 4497 მ2

საპროექტო გამწვანების ფართობი კ-3=1357.4 მ2

ექსპლიკაცია

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეები

№1-იფანი (ადგილზე რჩება)
№2-იფანი (ადგილზე რჩება)
№3-იფანი (ადგილზე რჩება)
№4-იფანი (ადგილზე რჩება)
№5-იფანი (ადგილზე რჩება)
№6-იფანი (ადგილზე რჩება)
№7-ჭერამი (ხილკენკროვანი ეჭრება)
№8-იფანი (გადაირგვება)
№9-ჭერამი (ხილკენკროვანი ეჭრება)
№10-ჭერამი (ხილკენკროვანი ეჭრება)
№11-იფანი (ადგილზე რჩება)
№12-იფანი (ადგილზე რჩება)
№13-იფანი (ადგილზე რჩება)
№14-იფანი (ადგილზე რჩება)
№15-იფანი (ადგილზე რჩება)
№16-იფანი (გადაირგვება)

საპროექტო ხე-მცენარეები:

№16-Pinus Pinea----------12 ძირი
№17-Prunus cerasifera---------- 9 ძირი
№18-Tiliae goniifolia----------11 ძირი
№19-Acer platanoides---------- 9 ძირი
№20-Nerium oleander---------- 7 ძირი
№21-Lagerstroemia indica------ 3 ძირი
№22-Cercis siliguastrum-------- 3 ძირი

დ ე ნ დ რ ო ლ ო გ ი უ რ ი გ ე გ მ ა

დამკვეთი	ვახტანგ გამრეკელი		4/10
ლანდშ. დიზაინერი	ელისო ხარჩილავა		29/07/2019

მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა კ ვ ა ლ ვ ი ს გ ე გ მ ა



ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა, IV მიკრორაიონი ს/კ 01.14.01.001.145

დამკვეთი: შ.პ.ს "შენიქსი" ს/კ 404852931

საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 4497 მ2

საპროექტო გამწვანების ფართობი პ-3=1357.4 მ2

ექსპლიკაცია

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეები

№1-ფიჭანი (ადგილზე რჩება)
№2-ფიჭანი (ადგილზე რჩება)
№3-ფიჭანი (ადგილზე რჩება)
№4-ფიჭანი (ადგილზე რჩება)
№5-ფიჭანი (ადგილზე რჩება)
№6-ფიჭანი (ადგილზე რჩება)
№7-ჭერამი (ხილკენკროვანი ეზრენა)
№8-ფიჭანი (გადაირგვება)
№9-ჭერამი (ხილკენკროვანი ეზრენა)
№10-ჭერამი (ხილკენკროვანი ეზრენა)
№11-ფიჭანი (ადგილზე რჩება)
№12-ფიჭანი (ადგილზე რჩება)
№13-ფიჭანი (ადგილზე რჩება)
№14-ფიჭანი (ადგილზე რჩება)
№15-ფიჭანი (ადგილზე რჩება)
№16-ფიჭანი (გადაირგვება)

საპროექტო ხე-მცენარეები:

№16-Pinus Pinea----------12 ძირი
№17-Prunus cerasifera---------- 9 ძირი
№18-Tiliae goniifolia----------11 ძირი
№19-Acer platanoides---------- 9 ძირი
№20-Nerium oleander---------- 7 ძირი
№21-Lagerstroemia indica------ 3 ძირი
№22-Cercis siliguastrum-------- 3 ძირი

დენდროლოგიური გეგმა

დამკვეთი	ვახტანგ გამრეკელი		5/10
ლანდშ. დიზაინერი	ელისო ხარჩილავა		29/07/2019

საპროექტო ხე-მცენარეები



№16-Pinus Pinea



№17-Prunus cerasifera



№18-Tiliae goniifolia



№19-Acer platanoides



№20-Nerium oleander



№21-Lagerstroemia indica



№22-Cercis siliguastrum

საპროექტო მცენარეთა ექსპლიკაცია

#	მცენარეთა დასახელება		რაოდენობა	სიმაღლე მეტრებში	ღეროს დიამეტრი	ფორმა	ხნოვანება	მახასიათებლები
1	Pinus pinea	იტალიური ფიჭვი	12	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
2	Prunus cerasifera	წითელი ტყემალი	9	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
3	Acer platanoides	მხვილფოთოლა ნეკერჩხალი	9	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაგამძლე, საშუალოდ მზარდი
4	Tilia begoniifolia	კავკასიური ცაცხვი	11	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	ჩრდილის მოყვარული, საშუალოდ მზარდი
5	Nerium oleander	ოლეანდრი	7	1-1.5მდე	14სმ.დან	ბუჩქი	5-10წ	გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
6	Lagerstroenia indica	ირმის რქა	3	3-5.5მდე	14სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაგამძლე, საშუალოდ მზარდი
7	Cercis siliguastrum	არღავანი,იუდას ხე	3	3-5.5მდე	14სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაგამძლე, ნელა მზარდი

საპროექტო სამუშაოთა მოცულობა

#	სამუშაოთა დასახელება	განზომილება	რაოდენობა	შენიშვნა
1	გასამწვანებელი ტერიტორიის შართობი	კვ.მეტრი	1357.4	
2	გასამწვანებელი ტერიტორიის გასუფთავება და დამუშავება	კვ.მეტრი	1357.4	
3	ადგილების მომზადება ხეების დასარგავად 50% ტყის მიწის შეტანით	ცალი	54	
4	ხეების დარგვა	ცალი	54	
5	ტერიტორიების მომზადება ჩვეულებრივი გაზონის მოსაწყობად, 20%ტყის მიწის შეტანით	კვ.მეტრი	1357.4	
6	გაზონის მოწყობა (დათესვა ან რულონის დაგება)	კვ.მეტრი	1357.4	
7	გაზონის მოვლა	კვ.მეტრი	1357.4	
8	ახალ დაგებულ ხე-მცენარეების მოვლა	ცალი	54	
9	ახლად დარგული ხე-მცენარეების, ყვავილნარების და გაზონის მორწყვა	ყველა მცენარე და გაზონი		

ახლად დარგული ხე-მცენარეების რაოდენობა: 54 ძირი
არსებული ხე-მცენარეების რაოდენობა რომელიც
რჩება საპროექტო ტერიტორიაზე: 9 ძირი
სულ: 63 ძირი ხე-მცენრე.

არსებულ ხე ნარგავთა ინვენტარიზაცია

#	მცენარეთა დასახელება	რაოდენობა	სიმაღლე მეტრებში	დიამეტრი 10სმ-ზე	დეკორატიული ღირებულება	ჩასატარებელი ღონისძიება
1	იფანი	1		29.2	საღი	ადგილზე რჩება
2	იფანი	1		10.3	საღი	ადგილზე რჩება
3	იფანი	1		40.1	საღი	ადგილზე რჩება
4	იფანი	1		7.6	საღი	ადგილზე რჩება
5	იფანი	1		44.2	საღი	ადგილზე რჩება
6	იფანი	1		4.6	საღი	ადგილზე რჩება
7	ჭერამი	1		30.5	ხილკენკროვანი	იჭრება
8	იფანი	1		30.8	საღი	გადაირგვება
9	ჭერამი	1		50.2	ხილკენკროვანი	იჭრება
10	ჭერამი	1		20.3	ხილკენკროვანი	იჭრება
11	იფანი	1		9.6	საღი	ადგილზე რჩება
12	იფანი	1		6.5	საღი	ადგილზე რჩება
13	იფანი	1		5.8	საღი	ადგილზე რჩება
14	იფანი	1		8.3	საღი	ადგილზე რჩება
15	იფანი	1		8.2	საღი	ადგილზე რჩება
16	იფანი	1		15.6	საღი	გადაირგვება

დენდროლოგიური პროექტის
საინფორმაციო დაფა

დამკვეთი:

დამკვეთი: შპს "ფენიქსი"
ს/კ 404852931

საპროექტო ტერიტორია:

ქ. თბილისი,
ნუცუბიძის ქ. მე-4 მ/რ
ს/კ 01.14.01.001.145

ნებართვის გამცემი ორგანო:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
გარემოს დაცვის სამსახური

გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი:
გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი:
25 მარტი, 2020 წელი

კ-3 1357.4მ/კვ

ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების რაოდენობა 16 ძირი.
იჭრება 3 ძირი ჭერამი (ხილკენკროვანი).
გადაირგვება 2 ძირი იფანი.

ჩასარგავ ხე-მცენარეთა სახეობები (რაოდენობა 54 ხე):

1. **Pinus pinea-12**ძ (სიმაღლე 3-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)
2. **Acer platanoides-9**ძ (სიმაღლე 3-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)
3. **Prunus cerasifera-9**ძ (სიმაღლე 3.5-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)
4. **Tilia begoniifolia-11**ძ (სიმაღლე 3.5-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)
5. **Lagerstroenia indica-3**ძ (სიმაღლე 3.0-5.5მ, გარშემოწერილობა 0.14სმ, ხნოვანება 5-10წ)
6. **Nerium oleander-7**ძ (სიმაღლე 3.5-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)
7. **Cercis siliguastrum-3**ძ (სიმაღლე 3.5-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)

გაშენებული ხე-მცენარეებზე
პასუხისმგებელი:

დამკვეთი: შპს "ფენიქსი"-ის დირექტორი:
ვახტანგ გამრეკელი
პ/ნ 01001024798

გასაშენებელი ხე-მცენარეებზე მოვლის ხანგრძლივობა:
3 წელი





განმარტებითი ბარათი ხე-ნარგავ № 16 თან დაკავშირებით

ხე-ნარგავი №16 (იფანი გარშემოწერილობა 15,6 სმ) მდებარეობს დამუშავებული პროექტიდან სამ მეტრზე ნაკლებ მანძილზე, მისი ამჟამინდელ ადგილზე შენარჩუნება შეუძლებელია შესაბამისად გათვალისწინებულია გადარგვა.

მის გარშემოწერილობიდან გამომდინარე მისი გადარგვა არ საჭიროებს ინდივიდუალურად შედგენილ გადარგვის ტექნიკურ დოკუმენტაციას და წერილობით დასტურს იმ პირისგან რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეც ტექნიკა .

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის,
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის
უფროსს ბატონ გიგა გიგაშვილს,
დამოუკიდებელ ექსპერტ გრიგოლ დეისაძის
(პ/ნ01017025310)

დიდტანოვანი (D-ი მეტია 25 სმ-ზე) ხეების გადარგვის პროექტი

თარიღი: 30.07.2019წ
მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის IV მიკრო რაიონი
საკადასტრო კოდი: N 01.14.01.001.145
ფართობი: 4497 კვ.მ
დაკვეთი: შპს „ფენიქსი“ (ს/კ 404852931)



ზოგადი ნაწილი

მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილის (N 18-01192042924), შპს „ფენიქსი-ს“ (ს/კ 404852931) და შპს „მოურავს” შორის 2019 წლის 30 ივლისს დადებული მომსახურების ხელშეკრულების და ჩემი, ფიზიკური პირი გრიგოლ დეისაძე, შპს „მოურავთან“ 2019 წლის 12 იანვარს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ჩემს მიერ მომზადებული იქნა 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარეის გადარგვის ინდივიდუალური ტექნიკური დოკუმენტაცია.

25 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარეების გადარგვის ინდივიდუალური ტექნიკური დოკუმენტაცია შემუშავებული იქნა 1 (ერთი) დიდტანიან ხე-მცენარეზე. შპს „ფენიქსის’ მიერ წარმოდგენილი მეტყევე-ენტომოლოგი ა.სუპატიშვილის საექსპერტო დასკვნაში, მას მინიჭიებული აქვთ შემდეგი ნუმერაცია - **N 8-იფანი -D=30,8 სმ** . N 8-იფანი ჯანმრთელი ხე-მცენარეა, რადგან ის წარმოადგენს დიდტანოვან ხე-მცენარეს, ამიტომ მისი გადარგვა უნდა მოხდეს სპეციალური მეთოდოლოგიის მიხედვით.

აღნიშნული ხე-მცენარეები გადაირგვება იმავე საკადასტრო ერთეულში აღნიშნული ხე-მცენარეები წარმოადგენენ დიდ ტანოვან ხეებს (D>25სმ-ზე) და მათი გადარგვა შესაძლებელია მხოლოდ სპეცტექნიკის გამოყენებით და შესაბამისი აგრონომიული ღონისძიებების გათვალისწინებით. გადარგვა უნდა მოხდეს უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით.



დიდ ტანიანი (D-ი მეტია 25 სმ-ზე) ხეების გადარგვის ზოგადი მეთოდოლოგიური აღწერა

ხე-მცენარის ამოღება:

1. დიდი ზომის (D -ი მეტია 25სმ-ზე) ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს განშტოებების გადაბელვა ან მისი გადაბელვა მთლიან ვარჯზე, მის ნაწილზე ძლიერი ტოტების შემოკლება ან მთლიანად მოშორება. გადაბელვის დროს გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ამწე-კალათა.
2. ხის ირგვლივ მიწის მოთხრა და კომის გამოყოფა ნიადაგიდან უნდა მოხდეს სპეცტექნიკის (ექსკავატორი ან სხვ.) საშუალებით. ხის ფიქსირება სპეცტექნიკის მუშაობისას და შემდეგ მისი ამოღება უნდა განხორციელდეს სპეციალური ამწე მოწყობილობებით, რადგან კომი დაცული იქნას მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისაგან, ჩაბმის ადგილზე ხეს უნდა შემოეხვიოს სქლად ჯვალოს ტილო.
3. ამოღებული ხის კომის ზომა უნდა განისაზღვროს ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ 10-მაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე არანაკლებ 1 -1,7 მ. - ის.
4. ხემცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს მისი კომის ფიქსირება იმ საშუალებებით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ხემცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პირობებში;
5. ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე; ღია ფესვთა სისტემა დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს ჯვალოს მატერიით, ან სპეციალური ბადით; მიწის გუნდას გარეთ გამოსული ფესვები საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიკვეცოს.
6. ამოღებული ხის ტრანსპორტირების შემთხვევაში ჯვალოში ან ბადეში შეფუთულ კომს უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩოები, ასაწყობი ყუთები, მავთულბადე, მეტალის სხვადასხვა კონსტრუქციები, სპეციალური დასაშლელი ვაზონები, ჭილობი, ბრეზენტი და ა.შ.);
7. მიწის კომის შეფუთვის შემდეგ ხის ღეროზე აკეთებენ სპეციალურ შალითას, რომელიც დამზადებული შეიძლება იყოს ქეჩის, ბრეზენტის ან ტყავისაგან. ასეთი შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამის დაცვა შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისაგან;

ხე-მცენარის გადარგვა:

1. გადასარგავ ადგილზე წინასწარ უნდა იქნას ამოღებული ორმო;
2. სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9 მ. - ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ.-ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
3. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწეს (სპეცტექნიკის) გამოყენებით, ისე რომ ხის კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან;
4. ნარგავი უნდა დაირგოს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველთან მინიმუმ 3 მ დაშორებით.
5. ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
6. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით; თითოეულ ორმოში წინასწარ უნდა იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა).

7. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
8. ჩაირგოს ორმოში ისე, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და აიკრას საყრდენზე (ჭიგო, სარი, ხარდანი) ან გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან.
10. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
11. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
12. წიწვოვანი ხეების გადარგვისას გასათვალისწინებელია ტოტების განლაგება მოხდეს ისე, როგორც იყო გადარგვამდე (ჩრდილოეთის მხარეს მდებარე ტოტები ისევ ჩრდილოეთით უნდა განლაგდეს).
13. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
14. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

ხე-მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა:

1. ხის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
2. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება-განახლება;
4. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;
5. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
6. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
7. განსაკუთრებით ინტენსიური რწყვაა სჭირო მცენარეებზე ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს. ამიტომ ინტენსიური მორწყვა უნდა დაიწყოს მაისის თვიდან. თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს.
8. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
9. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ - დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
10. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა-ფორმირების სამუშაოები. მოვლა-პატრონობის სამუშაოები უნდა ჩატარდეს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში.

დიდტანიანი (D-ი მეტია 25 სმ-ზე) ხეების გადარგვის ინდივიდუალური ტექნიკური დოკუმენტაცია

1. N 8- იფანი -D=30,8 სმ

ფოთლოვანი ხის, **N 8- იფანი**, გადარგვამდე უნდა მოხდეს განშტოებების გადაბელვა ან მისი გადაბელვა მთლიან ვარჯზე და მის ნაწილზე ძლიერი ტოტების შემოკლება.

ფოთლოვანი ხის გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს სპეცტექნიკა. გადარგვის დროს ხის ირგვლივ, უნდა მოიჭრას ნიადაგის გუნდი (კომი), რომლის დიამეტრი იქნება ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ 10-მაგი ოდენობის, სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9 მ. - ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ.-ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის და 15-20 კგ. ორგანული სასუქის შეტანა.

ხის ამოღება უნდა მოხდეს სპეცტექნიკით და ხის ტანზე თოკის ჩაბმის ადგილი დაცული უნდა იყოს ჯვალოს ან თექის ნაჭრით. ამოღებული კომი უნდა შეიფუთოს ჯვალოში ან ბადეში, რომ არ მოხდეს მისი დაშლა. დიდ მანძილზე ტრანსპორტირების საჭიროების შემთხვევაში ჯვალოში ან ბადეში შეფუთულ კომს უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩოები, ასაწყობი ყუთები, მავთულბადე, მეტალის სხვადასხვა კონსტრუქციები, სპეციალური დასაშლელი ვაზონები, ჭილობი, ბრეზენტი და ა.შ.).

ხის ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი; ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით. ხე ისე უნდა ჩაირგოს ორმოში, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და აიკრას საყრდენზე (ჭიგო, სარი, ხარდანი) ან გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან.

ხის ჩარგვის შემდეგ ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი, დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი სახის ტექნიკა: ექსკავატორი, სპეციალური ამწე კალათა, ამწე კრანი, სატვირთო ავტომობილი, სარწყავი ავტომობილი.



უფლებამოსილი პირი /გრიგოლ დეისაძე/
ექსპერტი
(პ/ნ01017025310)

შპს “მოურავი”
LTD “MOURAVI”

31 ივლისი 2019 წ.
შპს „ფენიქსი“
(ს/კ 404852931)

თანხმობა მომსახურების გაწევაზე

მოგახსენებთ, რომ შპს „მოურავს“ ყავს დიდ ტანიანი ხე-ნარგავების გადარგვისთვის საჭირო შესაბამისი სპეცტექნიკა (იხ. იჯარის ხელშეკრულება N32 14.10.2018წ. შპს „სამრეწველო და ინდსერვისი“) და გააჩნია სამუშაო გამოცდილება, რათა აწარმოოს მსგავსი ხე-ნარგავების გადარგვითი სამუშაოები.

ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების (30.07.2019 წ.) და უფლებამოსილი პირის გრიგოლ დეისაძის მიერ გადასარგავი ხე-მცენარეებისათვის ინდივიდუალურად შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე (იხ. გრიგოლ დეისაძის გადარგვის მეთოდოლოგია) საფუძველზე, შპს „მოურავი“ აძლევს წინასწარ თანხმობას შპს „ფენიქსს“ (ს/კ 404852931) , რომ ის შეასრულებს 1 (ერთი) დიდ ტანიანი მწვანე ნარგავის N 8- იფანი D=30, 8 სმ, გადარგვის სამუშაოებს. სამუშაოები შესრულდება შპს „ფენიქსის“ (ს/კ 404852931) მიერ მითითებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N 01.14.01.001.145

სამუშაოს შესრულებისას გამოყენებული იქნება შემდეგი სახის სპეცტექნიკა:

1. ექსკავატორი -KAT2012
2. ავტომანიპულატორი -DAF
3. ავტოკალათა - IVECO
4. დიდ წონიანი ამწე კრანი
5. დიდ წონიანი სატვირთო ავტომანქანა

დიდი ზომის ხის გადარგვა მოხდება არასავეგეტაციო პერიოდში, ექსპერტის მიერ მითითებული აგრონომიული წესების და შრომითი უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. გადარგული ხე მცენარის პირველადი მორწყვა მოხდება 6,7 ტ წყალტევადობის წყლის სარწყავი მანქანით.

შპს „მოურავის“
დირექტორი: /დ. გუგენიშვილი/

ს.კ. 406228069 ა/ა: GE33TB7674636080100011
მობ : +995 591 27 49 49 ელ.ფოსტა: greenproject.ge@gmail.com / supermouravi@gmail.com
იურიდიული მისამართი: ორხევი, ფიროსმანის 1გ. ფაქტიური: დადაიანის ქ. 100